ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N06

25 მაისი 2023 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2023 წლის 25 მაისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ნინო კვირიკაძე, მაკა მესხი, შადიმან გორგოძე, მაია კბილაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ვლადილერ წიქორიძე, გვანცა გრძელიძე, ჯუმბერ რობაქიძე, ზაზა ზივზივაძე, ირაკლი გოგსაძე, .

სულ: 26 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ქეთევან კარკაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ირინე აბაიშვილი -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჭან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც საკრებულოს სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის საკითხები.

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ".

   მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს. მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 26 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ“.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მაჩვენებლები მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა.

აზრი გამოთქვეს: გიორგი კოტორეიშვილმა, ირაკლი გოგსაძემ, ვლადიმერ მელაძემ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: მურად ბურჯანაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 მაისის სხომამ ცნობათ მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შდეგები.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხომაზე წარმოადგინა: მამუკა ხურციძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა..

აზრი გამოთქვეს: მაია კბილაშვილმა, თეა გოგნაძემ, ნოდარი გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N27 განკარგულება:გ-67.6723145001 თარიღი:25/05/2023 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 25 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტი მერიის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე საგაზაეხულო სამუშაობის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას მიაწოდა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტი მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელმა .

აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, გია სახამბერიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, ნოდარ გიორგიძემ, ზვიად გუმბერიძემ, ალექსანდრე ფახურიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიაზე საკითხის განხილვის თაობაზე ინფორმაცია სხდომას მიაწოდა: მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ზაზა ზივზივაძემ

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 მაისის სხომამ ცნობათ მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ეკონომიკის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4.. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N28 განკარგულება:g-67.67231452 თარიღი:25/05/2023 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 25 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე